საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/43

ქ. ბათუმი

28 თებერვალი, 2023 წ.

სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგის" სტიპენდიის მიმღები ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შერჩევის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგსა" და ბსუ-ს შორის 2022 წლის 26 დეკემბერს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 23 თებერვლის №215325 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ალდაგის" სტიპენდიის მიმღები ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 1 სტუდენტის შერჩევა განხორციელდეს 2023 წლის 06 მარტს, შემდეგი პირობების შესაბამისად:
   ა) სტიპენდიის ოდენობა შეადგენს თვეში 100 ლარს (ხელზე მისაღები) და გაიცემა 1 სემესტრის განმავლობაში (გაზაფხულის სემესტრში მარტიდან ივლისის ჩათვლით, 5 თვე), რომელიც გაიცემა სადაზღვევო კომპანია ,,ალდაგი"-ს მიერ, სტიპენდიის დანიშვნის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე;
   ბ) სტიპენდია შეიძლება მოიპოვოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აქტიური სტატუსის მქონე წარმატებულმა სტუდენტმა (შეირჩევა სულ 1 სტიპენდიანტი), რომელსაც არ აქვს აკადემიური დავალიანება, წინა სემესტრში ათვისებული აქვს სულ მცირე 25 კრედიტი და ამასთან, წინა სემეტრის შედეგების მიხედვით სასწავლო კურსებში მიღებული აქვს შეფასება - არანაკლებ 91 ქულა;
   გ) სტუდენტი მიმდინარე სემესტრში არ იღებს (არ მიიღებს) სხვა სტიპენდიას ბსუ-ში, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა.
   დ) კონკურსანტმა უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს, განცხადება, CV და მოკლე (1 გვერდიანი) ნაშრომი „საფინანსო ინსტიტუტების თანამშრომლობის შესაძლებლობები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან";
   ე) თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც წარმოდგენილი ექნება სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში სტუდენტის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა.
2. საკონკურსო კომისიის მიერ <u>საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება</u> (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსნება კონკურსიდან) <u>შემდეგ შემთხვევებში:</u>
   ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია;

ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი და ა.შ.);

გ) სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ცნობა არ არის გაცემული საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე 2 თვის ვადაში;

დ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

ე) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტია ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების მოთხოვნები (მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია).

ვ) სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრის მონაცემებით არ აქვს ათვისებული სულ მცირე 25 კრედიტი.

3. **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის უზრუნველყოს:**

ა) ,,ალდაგის სტიპენდიის" შესარჩევი პროცესის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო კონკურსანტებითვის/სტუდენტებისათვის, მათ მიერ ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა-ე" ქვეპუნქტებში აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით;

ბ) ,,ალდაგის სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევა (ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით შეიქმნას შესარჩევი კომისია) შერჩევის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა - **არაუგვიანეს 2023 წლის 06 მარტის 18:00 საათისა;**

გ) სადაზღვევო კომპანია ალდაგის ინფორმირება ,,ალდაგის სტიპენდიის" მიმღები სტუდენტების შერჩევის საფუძველზე გამოცემული სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესახებ.

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ შერჩეულ კონკურსანტს ,,ალდაგის სტიპენდია" დაენიშნოს არაუგვიანეს 2023 წლის 07 მარტისა.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**